

თავი XVIII რისკების მართვა და საღაზღვევო ბიზნესი

XVIII.1. რისკის არსი და სახეები

სამენარმოე ცხოვრება აღსავსეა სხვადასხვა ტიპის რისკებით, რომელთა პროგნოზირება არის ერთობ რთული საქმე. მსოფლიოში უამრავი კომპანია კოტრდება იმის გამო, რომ ისინი მოუმზადებელი აღმოჩნდნენ სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი თუ პოლიტიკური კატაკლიზმების, საფინანსო თუ სანარმოო სიძნელების გათვალისწინების, მათი პროგნოზირების სფეროში. სამყარო ისეთნაირად არის მოწყობილი რომ, უბედურებამ ბიზნესის სფეროში შესაძლებელია თავი იჩინოს იქ, სადაც მას ნაკლებად ელოდებიან. უბედობა ხშირად ყველაზე მომზადებული და კომპეტენტური ბიზნესმენების ხვედრია. რისკების საუკეთესო დაზღვევაც კი არ იძლევა მათი აღმოფხვრის სრულ გარანტიას, ამასთან, ისინი მნიშვნელოვნად ამცირებენ კომპანიის საფრთხეებს ამ დარგში. 1999 წელს არაჩვეულებრივი სიმძლავრის ქარბობლამ დიდი ზიანი მიაყენა საქმიან ცენტრს „ლეიკ-სიტის.“ ამ ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად დაინგრა საკონცერტო დარბაზი „დელტა-ცენტრი“, ოტელი „ვინდჰემი“, ერთი ადამიანი დაიღუპა და 81 დაშავდა.¹ მიუხედავად ამ სტიქიური ზარალისა საქმიანმა ცენტრმა სწრაფად აღადგინა დანაკლისი და შეძლო თავისი საქმიანობის ნორმალურ ჩარჩოებში მოქცევა. ეს შესაძლებელი გახდა კომპანიის მიერ მაღალ დონეზე დაყენებული რისკ-მენეჯმენტის სისტემის ამოქმედების საფუძველზე, რამაც მას მისცა რისკების შერბილების და შემდგომი მართვის შესაძლებლობა.

რისკების მართვა XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი კვლევის სფერო, რომელიც განუყოფელია ბიზნესისაგან. ამ ასპექტით კვლევების ინტენსიფიკაციას ბიძგი მისცა მსხვილმა კატასტროფებმა. ამ სფეროში პირველი სერიოზული გამოკვლევა წამროდგენილია საშიში წარმოების რისკის შეფასების მეთოდის სახით ჯერ კიდევ 1944 წელს, კლინგელში (აშშ) წყალსაცავში მომხდარი კატასტროფის შემდეგ, რამაც ასობით ადამიანის დაღუპვა გამოიწვია. 1984 წელს დიდ ბრიტანეთში პოლიეთილენის ტექნოლოგიური ქარხნის აფეთქების შედეგად დაიღუპა 28 და დაშავდა 400-მდე მუშაკი. 1984 წელს ინდოეთში, ქაშმირის შტატში პესტიციდების ქარხნიდან ტოქსიკური ნივთიერებების გაჟონვის გამო დაიღუპა 2800 ადამიანი და 2100 დაშავდა. 1985 წელს უკრაინაში ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი ავარიის შედეგად, რადიაცია განიცადა 6,5 მილიონმა ადამიანმა. ეს მაგალითები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ წარმოების რისკებისაგან სრული დაზღვევა

¹ R.Bruner. MBA short-course. 2007.P.104.

არის შეუძლებელი, მაგრამ მისი პროგნოზირება და ნეიტრალიზება წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის კვლევის სფეროს.

რისკები შეიძლება იყოს ორი სახეობის:

- წმინდა რისკები;
- სპეკულაციური რისკები.

წმინდა არის ის რისკი, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს ბიზნესისათვის მხოლოდ ზარალი. ნებისმიერი ტიპის სტიქიური უბედურება: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და სხვა ბიზნესის ძვირი უჯდება და დაკავშირებულია ზარალთან. ამიტომაც არის, რომ დაზღვევას უპირატესად საქმე აქვს წმინდა რისკებთან.

სპეკულაციური რისკი არის რისკის ის სახეობა, რომელიც თავის თავში შეიცავს, როგორც მოგების, ასევე ზარალის შესაძლებლობას. ამის საუკეთესო მაგალითი არის კომპანია „შუა-ინტერნეშნალი“, რომელიც აწარმოებს სკეიტბორდებს და ციგებს. 70-იანი წლების ბოლოს ამერიკის ახალგაზრდობა მოიცვა ახალმა გატაცებამ – სკეიტბორდებით სრიალმა. კომპანიის პრეზიდენტის შვილმა გამოიგონა ახალი ფეხსაცმელი. მან თავის ძველ „ადიდასებს“ მიამაგრა გორგოლაჭები, რის საფუძველზეც შეიქმნა გორგოლაჭებიანი სასრიალო ფეხსაცმელი „ჯოგერი“ [81, p.4.] არ არსებობდა ჯოგერების წარმოების წარმატების არავითარი გარანტია, მაგრამ კომპანია წავიდა რისკზე, როდესაც დაიწყო მათი სერიული წარმოება. რისკმა გაამართლა და კომპანია „შუა-ინტერნეშნალი“ მსოფლიოში გახდა ამ ტიპის ფეხსაცმლების ძირითადი მწარმოებელი. აღნიშნული მაგალითი, ნათლად ასახავს იმ გარემოებას, რომ სპეკულაციური რისკი შესაძლებელია იყოს კომპანიისათვის როგორც მოგების, ასევე ზარალის მომტანი.

XVIII. 2. რისკების მართვის პროცესი

რისკების მართვის პროცესში, იმისგან დამოუკიდებლად, არიან თუ არა ისინი დაკავშირებული ბუნებრივ, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან, ხანძართან თუ სხვა მოვლენებთან, მთავარია მათი განჭვრეტა (პროგნოზირება) და ამ პროცესების დადგომის შემთხვევისათვის შესაბამისი გეგმის არსებობა. ამდენად, ეს არის იმ დანაკარგთა მინიმუმაციის გეგმა, რომელიც შეიძლება აისახოს კომპანიაზე არაკონტროლირებადი მოვლენების წარმოქმნის შემთხვევაში. რისკების მართვის ძირითადი მიზანი არის მოსალოდნელი რისკების განჭვრეტა და კომპანიასა და მასში მომუშავე ადამიანებზე მათი ზეგავლენის დონის შემცირება.

რისკების მართვა (ნახ. 71) მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:

I. პოტენციური რისკების დაგენას; II. – მათ შეფასებას; III. – თითოეული რისკისათვის მართვის ინსტრუმენტების განსაზღვრას, IV. – შერჩეული სტრატეგიის შედეგიანობის შეფასებას.

პოტენციური რისკების ჩამონათვალი არის ამოუწურავი. მიუხედა-

ვად ამისა, მათი ელემენტარული კლასიფიკაციის წარმოდგენა შესაძლებელია. მანამ, სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ რისკების მართვის პროცესზე, აუცილებელია დავადგინოთ თუ რა პოტენციურ რისკებთან შესაძლებელია გვექონდეს შეხება და მოვახდინოთ მათი შეფასება. ამ მიზნით პრაქტიკაში გამოიყენება მრავალი მეთოდი. ერთ-ერთი რეკომენდაცია ამ მხრივ წარმოდგენილია (FEMA, Federal Emergency Management administration) საგანგებო მდგომარეობის ამერიკის ფედერალური სააგენტოს მეთოდიკაში. ამ მეთოდიკით შეფასებისათვის გამოიყენება ანალიტიკურ-ცხრილური მეთოდი (იხ. ნახ. №72).

აღნიშნული მეთოდით პოტენციური რისკების შეფასება მოიცავს რამდენიმე ეტაპს.

პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ყველა შესაძლებელი რისკი. ისინი პირობით იყოფა ორ ნაწილად:

- რისკები, რომლებიც უშუალოდ კომპანიას ემუქრება;
- რისკები, რომლებიც ემუქრება იმ გარემოს, რომელშიც არსებობს კომპანია.

ავარიული სიტუაციის ტიპი	შესაძლებლობა	ადამიანზე ზეგავლენა	ქონებაზე ზეგავლენა	კომპანიაზე ზეგავლენა	შინაგანი რესურსები	გარე-განი რესურსები	ქულე-ბის ჯამი
	5 მაღალი	5 ძლიერი	1 სუსტი		5 ძლიერი	1 სუსტი	

ნახ. №72. რისკების შეფასება ანალიტიკურ-ცხრილური მეთოდით.

რისკების იმ სფეროებს, რომლებშიც არსებობს ზარალის პოტენციური შესაძლებლობა ეწოდება რისკების ზონები. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ზონა:

ადამიანის მიერ გამოწვეული რისკები, რომლებიც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- პერსონალის პროფესიული მომზადების უარყოფითი დონე;
- ზერელე დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი;
- გადაღლილობა;
- შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობა და სხვა.

პროფესიული რისკები: აქ აუცილებელია დავადგინოთ ის რისკები, რომლებსაც განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესაძლებლობა;
- ქონების განიავება;
- თალლითობა;
- წამყვანი სპეციალისტების მაღალი დენადობა;
- პროფესიული შეცდომები;
- კონსტრუქციისა და ტექნოლოგიის დეფექტები;
- სამუშაოზე ტრამვის მიღების შესაძლებლობა;
- ვალდებულებების შეუსრულებლობა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული რისკები. უკანასკნელს მიეკუთვნება:

- ხანძრები;
- საშიში მეტეოროლოგიური პირობები;
- სატრანსპორტო კატასტროფები;
- მავნე ნივთიერებების დაღვრა;
- მინისძვრები;
- ქარბუქი;
- ტერორიზმი;
- კომუნალური სისტემის ავარიული გათიშვა და სხვა. გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებულ რისკებში შედის:
- ატომური ელექტროენერჯის სიახლოვე;
- მსხვილი სატრანსპორტო მაგისტრალის და აეროპორტის სიახლოვე;
- მავნე ნივთიერებების მწარმოებელი ან გადამზიდველი კომპანიის სიახლოვე და სხვა.

ტექნოლოგიური რისკები. ეს რისკები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ავარიული უზრუნველყოფის სისტემის მოშლა;
- დარღვევები გაცივების ან გათბობის სისტემაში;
- ენერგომომარაგების გათიშვა;
- კომპიუტერული სისტემის მოშლა;
- დარღვევები უსაფრთხოების სისტემაში და სხვა. ფიზიკური რისკები. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ:
- შენობის კონსტრუქცია;
- მავნე და აალებადი ნივთიერებათა მარაგი და საწყობში არსებული მდგომარეობა;
- მონყობილობის განლაგება;
- ევაკუაციის გეგმის ან საავარიო გასასვლელების მდგომარეობა და სხვა.

მეორე ეტაპზე აუცილებელია გრაფაში „შესაძლებლობა“, მოვახდინო

ნოთ რისკების შეფასება ხუთ ბალიანი სისტემით, სადაც რისკების ყველაზე დაბალი ალბათობა ფასდება ერთი ქულით, ხოლო ყველაზე მაღალი ხუთი ქულით.

მესამე ეტაპზე ვახდენთ რისკების ზეგავლენის დადგენას ადამიანებზე. აქაც შეფასება მიმდინარეობს ანალოგიური ტექნოლოგიით 1-დან 5 ბალამდე, სადაც 1 ბალი შეესაბამება ზეგავლენის ყველაზე დაბალ დონეს, 5 კი ყველაზე მაღალს.

მეოთხე ეტაპზე გრაფაში „ზეგავლენა ქონებაზე“ ფასდება ქონების განად-გურების, ან მისდამი ზარალის მიყენების შესაძლებლობა 1-დან 5 ბალამდე სისტემით. ამასთან, გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორცაა:

- დანახარჯები აღდგენაზე;
- დანახარჯები დროებით შეცვლაზე;
- დანახარჯები რემონტზე.

მეხუთე ეტაპზე რისკების პოტენციური ზეგავლენის შეფასების პროცესში 1-დან 5 ბალამდე სისტემით, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორცაა:

- შეფერხებები მზა პროდუქციის განაწილებაში;
- შეფერხებები მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში;
- ჯარიმები, სასამართლო საურავი და სხვა დანახარჯები;
- კომპანიის მიერ კონტრაქტის დარღვევით გამოწვეული ზარალი და სხვა.

მექვევსე ეტაპზე აუცილებელია წინასწარ შევაფასოთ არსებული რისკები და შესაძლებლობები, მოვახდინოთ რეაგირება ამ რისკებზე. გრაფაში „საგარეო და საშინაო რესურსები“, შეფასება ხდება 1-დან 5 ქულამდე. აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ ყოველი პოტენციური რისკი და შევაფასოთ ის რესურსები, რომელებიც აუცილებელია მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის. შეფასების პროცესში უნდა დავადგინოთ:

- გაგვაჩნია თუა არა ის რესურსები, რომლითაც შეგვიძლია რისკებზე მოვახდინოთ ოპერატიული რეაგირება.
- შეძლებენ თუ არა გარე რესურსები რისკებზე ოპერატიულ რეაგირებას, თუ მათთვის პრიორიტეტული იქნება სხვა ობიექტზე წარმოშობილი რისკების ლიკვიდაცია.

იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ ამ ორ საკითხზე დადებით შეფასებას, შესაძლებელია გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე, თუ პასუხი უარყოფითია აუცილებელი ხდება დამატებითი პროცედურების გააზრება, სახელდობრ:

- რისკების მართვის დამატებითი პროცედურების შემუშავება;
- რისკების მართვის დარგში მუშაკების დამატებითი სწავლების გეგმის შედგენა;
- დამატებითი მონაცემების შექმნა-მონტაჟი;

- ურთიერთმხარდაჭერის ხელშეკრულების შემუშავება რისკების ამოქმედების შემთხვევისათვის და სხვა.

მეშვიდე ეტაპზე, აუცილებელია ყველა რისკის მიხედვით მოვახდინოთ ქულების დაჯამება. რაც უფრო ნაკლებია ეს ქულები მით უფრო დაბალრისკიან ფაქტორებთან გვაქვს შეხება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეფასებები არის ევრისტიკული, ისინი არ წარმოადგენენ საფუძველს რისკების დაგეგმვის პროგრამის შემუშავებისა და რესურსების პრიორიტეტულობის შეფასების სფეროში.

მას შემდეგ, რაც მოვახდინეთ რისკების რანჟირება საფრთხეების მიხედვით, აუცილებელია განვსაზღვროთ იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც იძლევა ამ რისკების შემცირების ან ლიკვიდაციის შესაძლებლობას. რისკების მართვის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას ოთხი ძირითადი სტრატეგია, რომლებიც შემდგომში საფუძველად ედება რისკების მართვის პროგრამას. ესენია:

რისკებზე პასუხისმგებლობის გადანაწილება. რისკებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების პროცესში უნდა მოქმდნოს ის ობიექტი, რომელიც მოახდენს მოცემული რისკის ნეიტრალიზებას. მაშინ, როდესაც ვყიდულობთ სადაზღვევო პოლისს, ვახდენთ რისკის გადანაწილებას სადაზღვევო კომპანიებზე. ამ პრინციპით შესაძლებელია სხვადასხვა სახის რისკების გადანაწილება.

მაღალი რისკების შემცველი სიტუაციების განსაზღვრა და კორექტირება. რაც იმას ნიშნავს, რომ მაღალი რისკ-ფაქტორები უნდა გახდეს პირველ რიგში ნეიტრალიზაციის ობიექტი. მაგალითად, სანავის მძლავრ ცეცხლჩასაქრობი სისტემის დამონტაჟება მნიშვნელოვნად ამცირებს აალების შესაძლებლობას;

რისკების ალბათობის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მოვახდინოთ რისკების სრული ლიკვიდაცია, მათი შემცირების ალბათობა დიდია. ასე მაგალითად, თანამშრომელთათვის უსაფრთხოების წესების გაცნობა და ამ დარგში სწავლება, მნიშვნელოვნად ამცირებს ტრამვატიზმის ალბათობას;

რისკების შეფასება. კომპანიას შეუძლია რიგ შემთხვევაში სრულად აილოს ფინანსური პასუხისმგებლობა ცალკეული ტიპის რისკების მიხედვით, სხვა პირობებში, ის ამ პასუხისმგებლობას აკისრებს სადაზღვევო კომპანიას. ამდენად, აუცილებელია ობიექტურად შეფასდეს რისკების დაძლევის დამოუკიდებელი ან კორპორაციული შესაძლებლობანი.

XVIII. 3. სადაზღვევო და დაზღვევადი რისკები

წმინდა რისკების დიდი ნაწილი ექვემდებარება დაზღვევას, რაც შეეხება სპეციალურ რისკებს, ისინი არ ექვემდებარებიან დაზღვევას ანუ არიან დაუზღვევადი.

დაუზღვევადი არის ის რისკი, რომელსაც არ იღებს თავის თავზე სადაზღვევო კომპანია. ამდენად, ეს არის რისკი, რომელიც შეიცავს მაღალ საფრთხეებს და ამასთან ძნელად პროგნოზირებადია. ამიტომაც არის, რომ ამ რისკების დაზღვევას სადაზღვევო კომპანიები, როგორც წესი გაურბიან. დაუზღვევად რისკებს მიეკუთვნება:

საბაზრო რისკები. ეს ის ფაქტორებია, რომელთაც შეუძლია გამოიწვიოს საკუთრების ან შემოსავლის დაკარგვა. მათ მიეკუთვნება:

- ფასების სეზონური ან ციკლური ცვლილება;
- მოდის ცვლა;
- კონკურენცია;
- მოთხოვნილების ცვლა;
- ინფლაცია.

პოლიტიკური რისკები. ეს რისკები არის დაკავშირებული არაპროგნოზირებად პოლიტიკურ მოვლენებთან. მათ მიეკუთვნება:

- ვალუტის გაცვლის შეზღუდვა პოლიტიკური მიზეზებით;
- ომი ან მთავრობის შეცვლა;
- თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა;
- გადასახადების დაუსაბუთებელი ამაღლება.

პირადი რისკები. მათ მიეკუთვნება:

- უმუშევრობა;
- სიღარიბე;

საწარმოო რისკები:

- ნედლეულის უკმარისობა;
- მონუპოლიზების ტექნიკური სიძველე (მორალური ცვეთა);
- გაფიცვა, შრომითი კონფლიქტები და სხვა.

სადაზღვევოს მიეკუთვნება ის რისკები, რომელთა ზარალის დონე შესაძლებელია დადაგენილ იქნას სადაზღვევო კომპანიის მიერ და ამდენად, ის მზად არის აანაზღაუროს დანაკარგები.

სადაზღვევო რისკი უნდა პასუხობდეს გარკვეულ პირობებს:

დანაკლისი უნდა ექვემდებარებოდეს აღრიცხვას და დაზღვევის დანახარჯები უნდა იყოს ეკონომიკურად გამართლებული. იმისათვის, რომ მიიღოს მოგება დამზღვევემა კომპანიამ უნდა იცოდეს იმ ზარალის სიზშირე, რომელსაც იწვევს მოცემული სახეობის სტიქიური უბედურება. სადაზღვევო კომპანიის გამოცდილება იძლევა ამის პროგნოზირების შესაძლებლობას. ასე მაგალითად, სიკვდილიანობა ყოველი 1000 მცხოვრებზე შესაძლებელია საკმაოდ დიდი სიზუსტით დადგინდეს და სადაზღვევო კომპანიები იყენებენ ამ მონაცემებს სიკვდილის დაზღვევის პოლისის გაცემის პროცესში.

არ შეიძლება იყოს დაზღვეული, ფირმის წინასწარი განზრახვით ჩადენილი მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალი. ეს ნიშნავს, რომ სა-

დაზღვევო კომპანიები არ აანაზღაურებენ იმ ზარალს, რომელიც ჩადენილია ფირმის წინასწარი განზრახვით. ასე მაგალითად, ხანძრის სადაზღვევო პოლისი არ შეიძლება ანაზღა-ურდეს, თუ დამტკიცდა, რომ ხანძრის მიზეზი ფირმის წინასწარი განზრახვით ჩადენილი მოქმედებაა.

ერთი და იგივე სახეობის რისკი უნდა მოიცავდეს ერთდროულად ყველა დაზღვეულს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მოხდა წყალდიდობა და მოსახლეობის დიდი ნაწილი დაზღვეულია ამ რისკებისაგან, მაშინ საშუალო დონის სადაზღვევო კომპანიას ამ ტიპის სადაზღვევო პოლისებზე ერთდროული კომპენსაციების გაცემა გაუჭირდება.

სადაზღვევო სხვაობის ანაზღაურების შესაძლებლობა. ამ უკანასკნელში იგულისხმება ზარალის ნაწილი, რომელსაც იხდის თვითონ დაზღვეული, ასე მაგალითად, თუ თქვენ აზღვევთ ჯანმრთელობას, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია გადაგახდევინოთ სამედიცინო მომსახურების გარკვეული თანხა, ვთქვათ, სამედიცინო მომსახურების საერთო ღირებულების 20 პროცენტი, ხოლო დარჩენილი 80 პროცენტი უნდა გადაიხადოს დაზღვეულმა. ეს თანაფარდობა დამოკიდებულია სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, ანუ იმ დოკუმენტზე, რომელიც ახდენს სადაზღვევო კომპანიისა და დაზღვეულის ურთიერთობათა რეგლამენტაციას.

VIII. 4. სადაზღვევო ბიზნესის არსი

პრიმიტიული ფორმით დაზღვევის იდეა მოიცავს მრავალ საუკუნეს და გამომდინარეობს ურთიერთდახმარების კორპორაციული ინტერესებიდან. ადამიანები ეხმარებოდნენ ერთმანეთს ხანძრის, შიმშილის პერიოდში იმ იმედით, რომ სხვა შემთხვევაში ეს დახმარება თითოეული მათგანის ხვედრი გახდებოდა. თანდათანობით მეზობლებს შორის ასეთი არაოფიციალური კორპორაცია იქნეს ორგანიზებულ ფორმას, იქმნება ურთიერთდახმარების საზოგადოებები, რომლებიც სპეციალურ ფონდებში ახდენენ გარკვეული სახსრების აკუმულირებას, რათა ყოფილიყო მათი გამოყენების შესაძლებლობა ძნელბედობის ყამს. საბოლოო ჯამში ამის საფუძველზე აღმოცენდა პირველი სადაზღვევო კომპანიები.

კერძო სადაზღვევო კომპანია ეს არის კომერციული სანარმო. საქონელი, რომლითაც ის ვაჭრობს – საფინანსო დახმარებაა. იმისათვის, რომ შეძლონ ფუნქციონირება, სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც შესდგება სადაზღვევო პოლისების ასანაზღაურებელი თანხების, ადმინისტრაციული დანახარჯების, ლიკვიდურობისა და გადასახდებისაგან. სადაზღვევო კომპანიებში დიდ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადაზღვევო დანაკარგებისა და პრემიების მოცულობას, მათ აქტუარიები ეწოდება. ისინი ადგენენ „სადაზღვევო ცხრილებს“, სადაც აისახება სხვადასხვა სტიქიური მოვლენების ალბათობა და იყენებენ მათ სადაზღვევო პრემიების დასადგენად. სადაზღვევო აგენტები არის სადაზღვევო კომპანიების ის თანამშრომლები, რომლებიც

წყვეტენ, თუ რომელი რისკები, რა თანხებში უნდა იქნეს დაზღვეული.

აქტუარიები გაანგარიშებთა პროცესში იყენებენ დიდ რიცხვთა კანონს, რომელიც პრაქტიკაში ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო დიდია დაზღვეული პირების რიცხვი, მით უფრო ზუსტია ერთჯერადი ზარალის პროგნოზი. ყველა სადაზღვევო კომპანია ახდენს ზარალის ანაზღაურებას იმ პოლისების ხარჯზე შემოსული თანხებიდან, რომლებიც ქმნიან მის სადაზღვევო ფონდს. ამდენად, ის ფაქტობრივად ახდენს ზარალის გადანაწილებას პოლისების მფლობელებზე. თუ სადაზღვევო კომპანიამ დააზღვია 100 ადამიანი 200 დოლარად, აღნიშნული თანხიდან შეიძლება გაიცეს სადაზღვევო პრემია მხოლოდ ერთ ადამიანზე. თანხების წლების შედეგად აკუმულირება იძლევა სადაზღვევო ფონდის ყოველწლიურად ზრდის შესაძლებლობას. ამაში მქლავნდება დიდ რიცხვთა კანონის მოქმედების მექანიზმი სადაზღვევო კომპანიის მიმართ.

დაზღვევის ობიექტები შეიძლება იყოს მრავალმხრივი. მათ შორისაა:

- ❖ სახელმწიფოს სადაზღვევო პროგრამები;
- ❖ კერძო სადაზღვევო კომპანიები;
- ❖ საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიები.

დაზღვევაში ყველაზე მსხვილი არის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები, რომლებსაც ახორციელებს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდი. მასში ხდება მომუშავეთა ხელფასიდან სოციალური დაზღვევის ანარიცხების აკუმულირება. აღსანიშნავია, რომ ამ ფონდის თანხები შემდგომში გამოიყენება საპენსიო და სხვა სახელმწიფო პროგრამების უზრუნველსაყოფად.

სადაზღვევო ბიზნესში გადამჭრელ როლს თამაშობენ კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ყალიბდებიან, როგორც სააქციო საზოგადოებები. ამდენად, ამ კომპანიების ინვესტორთა (აქციონერთა) ძირითად მიზანს შეადგენს სადაზღვევო ბიზნესისაგან მოგების მიღება დივიდენდების სახით. მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრდა ერთობლივი სადაზღვევო კომპანიები. ეს არის არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ეკუთვნის პოლისების მფლობელებს. კომპანიის შემოსავალი პოლისის მფლობელებზე გაიცემა დივიდენდის ან სადაზღვევო შენატანის შემცირების ფორმით. ერთი და იმავე კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს დაზღვევის ორივე ფორმა. მაგალითად, ისეთი ცნობილი ფირმა, როგორც არის „მერილიტი“, სააქციო კომპანიაში ახდენს მისი საკუთრების, ხოლო ერთობლივ სადაზღვევო კომპანიებში, სამედიცინო და სიცოცხლის დაზღვევას.

კონკურენციის შედეგად სადაზღვევო ბიზნესში ხდება საერთაშორისო კომპანიების ფორმირება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არის ბრიტანული „ლლოიდი“, რომელიც სადაზღვევო ბაზარზე უკვე 300 წელია მოღვაწეობს. ეს არის ერთ-ერთი იმ კომპანიათაგანი, რომლის სადაზღვევო არეალი არის ფართო – დანყებულ კინომსახიობის, დამთავ-

რებული ნავთობის ტანკერების დაზღვევით. საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესის განვითარება გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებამ, რის გამოც დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო ტვირთების დაზღვევის საკითხი. ამით იყო მოტივირებული ის, რომ სადაზღვევო ბაზარზე გაჩნდა სპეციალიზებული სადაზღვევო ფირმები, ისეთები, როგორიცაა „ამერიკან ინტერნეშნალი“, „ჩაბ გრუპ“-ი და სხვა.

XVIII.5. სადაზღვევო ურთიერთობანი

სადაზღვევო საქმიანობა მოიცავს მრავალმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებშიც მონაწილეობს მრავალი სუბიექტი და ობიექტი. საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“, ისინი არიან:

მზღვეველი. უკანასკნელში იგულისხმება ის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით და გააჩნიათ ლიცენზია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

დაზღვეული არის ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართ ხორციელდება დაზღვევა.

სადაზღვევო აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს დაზღვევას მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

დაზღვევის სფეროში საქმიანობის შუამავლობას ახორციელებს სადაზღვევო ბროკერი. ის საქმიანობს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

სადაზღვევო შემთხვევა არის მოვლენა, რომლის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა.

სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელშეკრულება, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დაზღვეულმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს მოითხოვოს ანაზღაურება.

დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს დაზღვეულის ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ასეთებია:

დაზღვევა დაკავშირებული სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარ-რიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან, პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა);

დაზღვევა დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან, ქონების სარგებლობასთან (ქონებით დაზღვევა);

დაზღვევა დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს ორი ფორმით:

- ❖ ნებაყოფლობით;
- ❖ სავალდებულოდ.

ნებაყოფლობითი ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სავალდებულო არის დაზღვევის ფორმა, როდესაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით.

დაზღვევის ერთ-ერთი ფორმა არის ორმაგი დაზღვევა, როდესაც ერთი და იგივე ობიექტი არის დაზღვეული ორ ან მეტ მზღვეველთან.

მნიშვნელოვანია კოლექტიური დაზღვევის ფორმა, როდესაც ერთი ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე დაზღვეულს, მაგალითად, ხელფასის დაზღვევა. არსებობს დაზღვევის ისეთი ფორმაც, რომელსაც თანადაზღვევა ეწოდება. ამ შემთხვევაში დამზღვევეად გვევლინება ერთი (ე.წ. ლიდერი), რომელიც დაზღვევის პასუხისმგებლობას უნაწილებს სხვა ორგანიზაციებს. ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა სადაზღვევო ბიზნესში, რომელსაც საქართველოში არეგულირებს სახელმწიფო ორგანო „დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“ არის სადაზღვევო ფონდის და აუცილებელი რეზერვების დადგენა. სადაზღვევო ფონდები იქმნება სადაზღვევო შენატანების ანუ იმ თანხების ხარჯზე, რომელთა გადახდას ხელშეკრულებით ახდენს დაზღვეული.

სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად მზღვეველი სადაზღვევო შენატანების საფუძველზე ქმნის რეზერვს, უკანასკნელი არ იბეგრება და იხსნება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

წევრიმთავარი სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის საფუძველი არის სადაზღვევო ლიცენზიის მოპოვება. ლიცენზიას გასცემს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მის მისლებად აუცილებლია შემდეგი დოკუმენტების ნუსხის წარმოდგენა:

- სადამფუძნებლო დოკუმენტები;
- სახელმწიფო დოკუმენტი, რომლის შესაბამისად მზღვეველი დარეგისტრირდა, როგორც იურიდიული პირი;
- ცნობა სანესდებო კაპიტალის შესახებ;
- ბიზნეს-გეგმა.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ამ დოკუმენტების განხილვა და მიღება ხდება სადაზღვევო კომპანიის რეგისტრაციის საფუძველზე.

XVIII. 6. ბიზნესის დაზღვევის სახეობი

რა სახეობის დაზღვევა შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ვქმნით ფირმას? აქ მნიშვნელოვანია წარმოების სპეციფიკის გათვალისწინება, მაგრამ ზოგადად დაზღვევა ყველა შემთხვევაში ეხება საკუთრებას, შემოსავალს, პასუხისმგებლობასა და მუშაკებს. გამოიყოფა

დაზღვევის ბიზნისის შესაბამისი სახეები.

საკუთრების დაზღვევა იცავს დაზღვეულს საკუთრების ფიზიკური დაზიანების ან განადგურებისაგან. საკუთრების დაზღვევის პოლისის ყიდვის პროცესში, შესაძლებელია დავაზღვიოთ ჩანაცვლების დანახარჯები ან ნარჩენი ღირებულება. ჩანაცვლების დანახარჯების დაზღვევა არის უფრო ძვირი, მაგრამ ის აძლევს სადაზღვევო პოლისის მფლობელს იმის შესაძლებლობას, რომ მან იყიდოს ახალი საკუთრება, ძველის სანაცვლოდ. ნარჩენი ღირებულების დაზღვევის დროს ფასდება ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ უკანასკნელი.

კომპანიაში მუდმივად არსებობს არაკეთილსინდისიერი თანამშრომლების მხრიდან ქურდობის, გაფლანგვის რისკი, ამიტომაც, არის, რომ მის შესამცირებლად თანამედროვე სადაზღვევო ბიზნესში გამოიყენება ლოიალურობის გარანტირების ობლიგაციები, რომლებიც იცავენ კომპანიას ამ რისკებისაგან და ახდენენ მათ დაზღვევას. თანამედროვეობაში ფართოდ გამოიყენება ქურდობისაგან დაზღვევის მექანიზმი, რომელიც იცავს კომპანიას ამ გზით მიყენებული ნებისმიერი დანაკლისისაგან.

საკუთრების დაზღვევასთან ერთად უფრო მნიშვნელოვანი ხდება მთლიანად შემოსავლის დაზღვევა. ასე მაგალითად, ხანძარი წარმოებაში იწვევს ქონების განადგურებას, საკუთრების დაზღვევა გულისხმობს მის ანაზღაურებას, მაგრამ შემდგომ წარმოების აღდგენას ჭირდება დამატებითი ხარჯები. ამიტომაც, თანამედროვე კომპანიები იყენებენ დაზღვევის ისეთ ფორმას, როგორც არის დამატებითი დანახარჯების დაზღვევა, ან დაზღვევა ბიზნესში გაუთვალისწინებელი დაყოვნებებისაგან.

დაზღვევის ერთ-ერთი ფორმა არის პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეს არის დაზღვევის სახეობა, როდესაც ზარალი, რომელიც მიყენებულია პიროვნებისადმი განპირობებულია თვით დაზღვეული კომპანიის მიზეზით. კომპანიამ მრავალი მიმართულებით შეიძლება მიაყენოს ზარალი პიროვნებას. ყველაზე ხშირი ამ თვალსაზრისით არის ის ტრამეები, რომლებსაც მუშაკები ღებულობენ სანარმოს ტერიტორიაზე, ფიზიკური ზარალი, რომელსაც ღებულობს მომხმარებელი კომპანიის წუნდებული პროდუქციის მოხმარებით, ან ის დანაკლისი, რომელიც პროფესიული შეცდომების შედეგია. პასუხისმგებლობის დაზღვევის რამდენიმე ფორმა არსებობს. ასეთებია:

პასუხისმგებლობის უნივერსალური დაზღვევა. ამ შემთხვევაში დაზღვევის სუბიექტი ხდება ყველა ტიპის პასუხისმგებლობა, როგორც პროდუქციის ხარისხით მიყენებული ზარალი, ასევე დანაკლისი მიღებული პროფესიული შეცდომებით. ბოლო წლებში მკვიდრდება დაზღვევა პროდუქციის ხარისხზე, რომლის დროსაც ანაზღაურდება წუნდებული პროდუქციის გამოყენებით მიყენებული ზარალი. დაზღვევის სუბიექტია პასუხისმგებლობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაზე, როდესაც სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ იმ დანაკლისს, რომელიც მიყენებულია

ავტო-საგზაო შემთხვევის გამო.

პასუხისმგებლობის დაზღვევის კიდევ ერთი ფორმა არის მუშებაკების საკომპენსაციო დაზღვევა, როდესაც მუშაკები ღებულობენ კომპენსაციას პროფესიული ტრავმების ან დაავადებების გამო. სიკვდილის შემთხვევაში მუშაკის ოჯახზე გაიცემა შესაბამისი სადაზღვევო კომპენსაცია.

კომპანიების პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება დაზღვევა პროფესიული შეცდომების დაშვების გამო. ეს არის დაზღვევის სახეობა, რომლის დროსაც ხდება კლიენტისადმი იმ ფიზიკური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიყენებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში. მაგალითად, ექიმის მიერ არასწორად ჩატარებული ოპერაციის შედეგად ავადმყოფის დაინვალიდების შემთხვევაში.

კომპანიები აზღვევენ არა მარტო თავიანთ საკუთრებასა და აქტივებს, არამედ თანამშრომლებს. ამ თვალსაზრისით განისაზღვრება დაზღვევის სამი ძირითადი სახეობა. ესენია:

- ჯამრთელობის დაზღვევა;
- სიცოცხლის დაზღვევა;
- საპენსიო პროგრამები.

ტრადიციულად არსებობს ჯანმრთელობის დაზღვევის ორი სახეობა:

- სამედიცინო მომსახურების დაზღვევა;
- არაშრომისუნარიანობის დაზღვევა;

სამედიცინო დაზღვევა მოიცავს რამდენიმე სახეობას. ესენია:

სტაციონარული მკურნალობის დაზღვევა, რის შედეგადაც ხდება სტაციონარში წოლის სრული, ან წილობრივი ხარჯების დაფარვა. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით პოლისები არის არაერთგვაროვანი. ისინი შეიძლება მოიცავდნენ სავადმყოფოში წოლის, წამლების, კვების ხარჯებს, იქიდან გამომდინარე, თუ რა სახეობის პოლისთან გვაქვს საქმე.

ფსიქიატრიული მომსახურების დაზღვევა მოიცავს სადაზღვევო კომპანიის მიერ იმ დანახარჯების დაფარვას, რომლებიც დაკავშირებულია ფსიქიატრიულ დაავადებებთან ან ფსიქიატრის კონსულტაციასთან. ამავე პროგრამითხორციელდება ალკოჰოლური და ნარკოტიკული დაავადებების მკურნალობა.

ქირურგიული და თერაპიული დაზღვევის შემთხვევაში ხდება ამ სახის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება. პოლისებში, როგორც წესი, აღინიშნება ის მაქსიმალური თანხა, რომელიც გამოიყენება დაზღვევის პროცესში.

უნივერსალური სამედიცინო დაზღვევის დროს მიმდინარეობს ყველა სახეობის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება.

სტომატოლოგიური დაზღვევის შემთხვევაში კი ხდება სტომატოლოგიური მომსახურების სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება.

სამედიცინო დაზღვევის ხარჯებს, როგორც წესი იხდიან დამქირა-

ვებლები. ამასთან, სამედიცინო მომსახურების ტარიფების ზრდა იწვევს ამ სახეობის დაზღვევაში წილობრივი მონაწილეობის აუცილებლობას.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ფართოდ ინერგება სამედიცინო დაზღვევა საზღვარგარეთ ნამსვლელთათვის. ეს მოტივირებულია იმით, რომ ცალკეული ქვეყნები არ იძლევა სადაზღვევო პოლისის გარეშე მათ ტერიტორიაზე შესვლის უფლებას. ასეთებია: საფრანგეთი, აშშ, გერმანია და სხვა. დაზღვევის ასეთ ფორმას ეწოდება ასისტანსი, რაც ფრანგულად დახმარებას ნიშნავს.

სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. პირებს, რომლებიც კომპანიისაგან ღებულობენ თანხას დაზღვეულის სიკვდილის შემთხვევაში, ეწოდება ბენეფიციარები. როგორც წესი ამ ტიპის პოლისები მოიცავს თანხას დაზღვეულის ხელფასის სამმაგი ან ოთხმაგი ოდენობით.

სიცოცხლის დაზღვევის რამდენიმე სახე არსებობს. ესენია:

ვადიანი დაზღვევა. როდესაც სადაზღვევო შემწეობა გაიცემა კლიენტის სიკვდილის შემდეგ, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელზეც ის იყო დაზღვეული. ამ ტიპის დაზღვევის ვადა ერთი წელია და ის არ ეხება 6 წელს გადაცილებულ პირებს.

სრული დაზღვევა, როდესაც სადაზღვევო პოლისი ძალაში რჩება კლიენტის სიკვდილამდე. ამ ტიპის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვეულს ეძლევა შესაძლებლობა აიღოს კრედიტი სადაზღვევო თანხიდან, ხოლო საპენსიო ასაკში ნაწილობრივ ან სრულად გამოიყენოს ამ ანგარიშზე აკუმულირებული თანხა.

დაზღვევა შენატანით იძლევა როგორც დაზღვევის, ასევე დაგროვების შესაძლებლობას. მისი პოლისები არის ვადამდელი. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო ვადა ამოიწურა და დაზღვეული ცოცხალია, სადაზღვევო პოლისის თანხა გაიცემა მოთხოვნისთანავე. სიკვდილის შემთხვევაში ის ეძლევა ბენეფიციარს.

სიცოცხლის უნივერსალური დაზღვევის პოლისები გამოიყენება, ერთის მხრივ, ვადიანი დაზღვევის, ხოლო მეორეს მხრივ შემნახველ ანგარიშზე თანხების დაგროვების მიზნით. ამ პოლისის მფლობელს ეძლევა შემნახველ ანგარიშზე არსებული თანხების გამოყენების შესაძლებლობა. ცვლილებები საფინანსო ბაზარზე იწვევს შემნახველ ანგარიშზე თანხების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას, ამიტომ, ისინი წარმოადგენენ არამდგრად სიდიდეს.